ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7496784

ნომერი: AR11092186

თარიღი : 22.05.2025

გაცემის თარიღი : 30.05.2025

გაცნობის თარიღი : 30.05.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩაისუბანი , N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თორნიკე დათებაშვილი პ/ნ 01020007487
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 24ბ, ბინა 49

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 22 მაისის № AR11092186 განცხადებით მომართა თორნიკე დათებაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 28 ივნისის №7106074 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 28 ივნისის №7106074 ბრძანებით N01.16.06.039.014 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 28 ივნისიდან 2027 წლის 28 იანვრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 28 ივნისის №7106074 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას გეგმებისა და კონსტრუქციული პროექტის ნაწილში.

განგიმარტავთ, რომ ზემოაღნიშნული მოთხოვნა არ წარმოადგენს „ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში“-ს ნომენკლატურით ცვლილების შეტანის საფუძველს. აღნიშნულისთვის საჭიროა შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში ცვლილების შეტანა (კორექტირება).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.